UDC 38
SCOPUS CODE 1408
https://doi.org/10.36073/1512-0996-2024-4-84-89

„ჭკვიანი ქალაქის“ დანერგვის პერსპექტივები ქ.ბათუმის მაგალითზე

გენადი იაშვილი — საჯარო მმართველობისა და ელექტრონული ბიზნესის დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0160, თბილისი, მ. კოსტავას 77
E-mail: g.iashvili@gtu.ge

თინათინ იაშვილი — საჯარო მმართველობისა და ელექტრონული ბიზნესის დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0160, თბილისი, მ. კოსტავას 77
E-mail: t.iashvili@gtu.ge

ბესიკ შერაზადიშვილი — საჯარო მმართველობისა და ელექტრონული ბიზნესის დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0160, თბილისი, მ. კოსტავას 77
E-mail: b.sherazadisvhvili@gtu.ge

არჩილ ჩიქოვანი — საჯარო მმართველობისა და ელექტრონული ბიზნესის დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0160, თბილისი, მ. კოსტავას 77
E-mail: a.chikovani@gtu.ge

რეცენზენტები:

ა. სიჭინავა, სტუ-ის საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი, ეკონომიკის აკადემიური დოქტორი
E-mail: alekosichi@mail.ru

ზ. ნასარაია, სტუ-ის ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი. საჯარო მმართველობის აკადემიური დოქტორი
E-mail: nasaraiazurab@gmail.com

ანოტაცია. ინოვაციების თაობაზე საკომუნიკაციო კამპანიების ორგანიზებისას სასურველია აქცენტი გაკეთდეს განვითარების შესაძლებლობებსა და ტექნოლოგიებზე, როგორც მომავლის ასპექტზე. მნიშვნელოვანია ახალგაზრდების ინფორმირება „ჭკვიანი ქალაქის“ ტექნოლოგიებთან დაკავშირებულ სხვადასხვა მომსახურებაზე, რომლებიც ხელმისაწვდომია ახალგაზრდებისთვის ქ. ბათუმში. ამასთანავე, საჭიროა აქტიური კამპანია შესაბამისი

ტექნოლოგიური სივრცეებისა და არსებული სერვისების გამოყენების შესაძლებლობებზე ინფორმირების მიზნით.

წარმოდგენილ სტატიაში გაანალიზებულია ქ. ბათუმში არსებული შესაძლებლობები ტექნოლოგიური განვითარების მხრივ, ახალგაზრდობის აქტიური ჩართულობის პირობებში. ხაზგასმულია, რომ სასურველია შეიქმნას მუდმივად განახლებადი პლატფორმა, რომელიც გააერთიანებს ქ. ბათუმში ახალგაზრდებთან დაკავშირებულ სხვადასხვა ინფორმაციას. ასევე სასურველია შესაბამისი თანამედროვე აპლიკაციის შექმნა, რომელიც ახალგაზრდებს შესაძლებლობას მისცემს ონლაინ მიიღონ ინფორმაცია სხვადასხვა სიახლის შესახებ.

საკვანძო სიტყვები: ახალგაზრდობა; მომავლის ტექნოლოგიები; საქართველო; ქ. ბათუმი; ქალაქის მართვა; „ჭკვიანი ქალაქი“.

შესავალი

წარმოდგენილი ნაშრომის თემატიკა აქტუალურია. „ჭკვიანი ქალაქის“ დანერგვა სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება როგორც მსოფლიოს მასშტაბით, ისე საქართველოს რეგიონებშიც. ამასთანავე, ახალგაზრდობა ის უმნიშვნელოვანესი ჯგუფია, რომელსაც სახელმწიფოს მომავლისათვის განსაკუთრებული როლი აქვს. შესაბამისად, ახალგაზრდების ინტერესების გააზრება, ადგილობრივი თუ ცენტრალური პოლიტიკის დონეზე მათზე მუდმივი რეაგირება და ახალგაზრდების მხარდაჭერა კრიტიკულად მნიშვნელოვანია სახელმწიფოს განვითარებისთვის, ამ კუთხით მნიშვნელოვან ინიციატივად უნდა ჩაითვალოს 2020 წელს ქალაქ ბათუმში საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს „საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს“ მიერ ბათუმის ტექნოპარკის გახსნა. საგულისხმოა, რომ მომავალი წლების განმავლობაში იგეგმება ციფრული წიგნიერების განვითარების ხელშეწყობა ქალაქ ბათუმის მერიის მხრიდან. კერძოდ, როგორც არსებულ მონაცემთა ანალიზიდან იკვეთება, ბათუმის მერიასთან არსებული „ახალგაზრდული ცენტრის“ მიერ დაგეგმილია „ტექნოლოგიებისა და მეწარმეობის კლუბის“ შექმნა. 2022-2025 წლებში „ახალგაზრდულ ცენტრში“ დაგეგმილია ტექნოლოგიური განვითარების სივრცეების ჩამოყალიბებაც, რაც მიგვაჩნია, რომ ხელს შეუწყობს ქ.ბათუმში „ჭკვიანი ქალაქის“ კონცეფციის განვითარებას.

ძირითადი ნაწილი

ქ. ბათუმში ახალგაზრდებს საერთო სამუშაო სივრცით სარგებლობას *ტექნოპარკი ბათუმი* სთავაზობს. ფიზიკური სივრცე, სადაც თავმოყრილია ტექნოლოგიური და საგანმანათლებლო რესურსები, წარმოადგენს მნიშვნელოვან პლატფორმას ინოვაციებსა და ტექნოლოგიებზე დაფუძნებული ბიზნესების განვითარებისთვის. ტექნოპარკი ბათუმი დაინტერესებულ პირებს სთავაზობს საერთო სამუშაო სივრცეს, სადაც შესაძლებელია მუშაობა საკუთარი იდეების განსავითარებლად, აღსანიშნავია, რომ საერთო სამუშაო სივრცით სარგებლობა არის უფასო და მისი გამოყენება შეუძლია ნებისმიერ დაინტერესებულ პირს, რისთვისაც საჭიროა მხოლოდ სარეგისტრაციო ფორმის შევსება. მიუხედავად იმისა, რომ სივრცე ღიაა ნებისმიერი მსურ-

ველისათვის, მაღალი მოთხოვნის შემთხვევაში პრიორიტეტი მაინც სტარტაპერებს ენიჭებათ. სამუშაო სივრცესთან ერთად შესაძლებელია ოთხ ადამიანზე გათვლილი შეხვედრების ოთახით სარგებლობაც. ტექნოპარკ ბათუმში ხელმისწავდომია საკონფერენციო დარბაზიც. ტექნოპარკი ითავსებს სასწავლო ცენტრის ფუნქციასაც და ხშირად არის სხვადასხვა ღონისძიების ორგანიზატორი ახალი ტექნოლოგიებისა და ინოვაციური აზროვნების საკითხებზე. შესაბამისად, ეს სივრცე ქმნის კარგ შესაძლებლობას ტექნოლოგიებითა და მეწარმეობით დაინტერესებული ახალგაზრდებისთვის სხვადასხვა სერვისზე უფასოდ ხელმისაწვდომობის მხრივ.

აღსანიშნავია ასევე ტექნოპარკის ინფრასტრუქტურა და ტექნიკური აღჭურვილობაც. თუმცა, მიუხედავად უნივერსიტეტის სივრცეში განთავსებისა, რაც ახალგაზრდების გარკვეულ ჯგუფამდე ინფორმაციის მარტივად მიტანას ხდის შესაძლებელს, მისი ადგილმდებარეობა შეიძლება ჩაითვალოს ერთ-ერთ უარყოფით მხარედ. იმის გათვალისწინებით, რომ ტექნოპარკი განთავსებულია ქალაქის ცენტრიდან მოშორებით, შეიძლება ვთქვათ, რომ ტერიტორიული ხელმისაწვდომის თვალსაზრისით ეს პრობლემურია ახალგაზრდების გარკვეული ნაწილისთვის. თუმცა, ისიც გასათვალისწინებელია, რომ საკმარისი მოტივაციის პირობებში, ახალგაზრდებისთვის ადგილმდებარეობა ნაკლებად შეიძლება წარმოადგენდეს ბარიერს.

მომავალთან დაკავშირებული ხედვები

შიგა თუ გარე მიგრაციის მაღალი დინამიკის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია იმის გააზრებაც, თუ როგორია ახალგაზრდების ხედვები მომავალთან დაკავშირებით და უკავშირებენ თუ არა ისინი საკუთარ მომავალს უშუალოდ ქ. ბათუმს. კვლევის მიხედვით, დიდი უმრავლესობა ცხოვრებასა და მუშაობას უახლოეს მომავალში საქართველოში გეგმავს (65%), მეტიც, 55% ასეთ ლოკაციად სწორედ ბათუმს ასახელებს. ეს მაჩვენებელი 14-18 წლის ასაკის ჯგუფში 35%-ია, რაც სწავლასთან დაკავშირებულ გეგმებთან შეიძლება იყოს ასოცირებული, და ხშირად, უმაღლესი განათლების დედაქალაქში მიღებას უკავშირდება.

კონკრეტულად ტექნოლოგიების მიმართულებით ახალგაზრდებში ინტერესის გაზრდისთვის მნიშვნელოვნად ჩაითვალა სისტემური მიდგომის შემუშავება, ნაცვლად ცაკეული აქტივობებისა, რასაც ახლაც აქვს ადგილი ბათუმის სხვადასხვა სკოლაში. ერთ-ერთი არგუმენტის თანახმად, სკოლებში გარკვეულ აქტივობებს ტექნოლოგიური განვითარების მიმართულებით ვხვდებით, მაგრამ მიდგომა არ არის სისტემური და მისი განხორციელება კონკრეტული მასწავლებლების მონდომებაზეა დამოკიდებული. ამდენად, სკოლებში შესაბამისი მიმართულების გაძლიერება ადამიანური რესურსის მომზადებით და ერთიანი მიდგომის შემუშავებით, არსებითია. გარდა აღნიშნულისა, მეწარმეობით, სტარტაპითა თუ ინოვაციებით მეტი ახალგაზრდის დაინტერესებისთვის გასათვალისწინებელია მუნიციპალიტეტის სტრატეგიის შესაბამისად შემუშავება.

არსებითია ადგილობრივი ბიუჯეტის რაციონალურად გადანაწილება და ისეთ პროექტებზე მიმართვა, რომელიც გრძელვადიან პრესპექტივაში მნიშვნელოვან შედეგებს მოიტანს. კერძოდ, ნაცვლად იმისა, რომ ბიუჯეტის რესურსი მოხმარდეს

გასართობი ღონისძიებების ორგანიზებას, რომელიც უნარების განვითარებაზე არ არის ორიენტირებული, მიუხედავად მეტი ახალგაზრდის დაინტერესებისა, უკეთესი იქნება, რომ თანხები მიმართული იყოს ახალგაზრდების სამეწარმეო უნარების განვითარებაზე.

მიუხედავად იმისა, რომ ციფრული კომპეტენციების განვითარება, როგორც ახალგაზრდების მნიშვნელოვანი ნაწილის ინტერესი, პრობლემური ნაკლებად ჩანს, აღნიშნულზე ფოკუსირება მაინც არსებითია. სამომავლოდ აქტივობების დაგეგმვისას გასათვალისწინებელია რამდენიმე ასპექტი. კერძოდ, აქტივობების დაგეგმვის პერიოდი, იმის გათვალისწინებით, რომ ზაფხული აქტიური ტურისტული სეზონია და ქალაქს ბევრი ტურისტი სტუმრობს, ადგილობრივი ახალგაზრდების საკმაოდ დიდი ნაწილი კი პირიქით, ქალაქიდან გადის, ივლისსა და აგვისტოში უშუალოდ ბათუმელ ახალგაზრდებზე ფოკუსირებული აქტივობების დაგეგმვა არ არის სასურველი. გასათვალისწინებელია ასევე ის, თუ რა აქტივობები დაიგეგმება ონლაინ და რა, პირიქით, ოფლაინ სივრცეში. მაგალითად, კორონავირუსის გავრცელების დროს გამართული „სტარტაპ-ტოლკები“, სადაც წარმატებული სტარტაპერები აზიარებდნენ საკუთარ გამოცდილებას, ნაკლებად წარმატებულად შეიძლება ჩაითვალოს დაბალი ინტერესის გათვალისწინებით, რაც აქტივობის ონლაინ ფორმით აიხსნა და არა ახალგაზრდების შეიძლება მცირე, მაგრამ დაინტერესებული ჯგუფების არარსებობით. ამდენად, არაერთ შემთხვევაში, შესაძლებელია წინასწარ აუდიტორიისგან ინფორმაციის მოპოვება მისაღებ ფორმატთან დაკავშირებით და აქედან გამომდინარე შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება

დასკვნა

ამრიგად, სტატიაში გაანალიზებულია, თუ რა არის „ჭკვიანი ქალაქის“ დანერგვის ასპექტები ქ. ბათუმის მაგალითზე. აღნიშნულია, რომ მნიშვნელოვანია „ჭკვიანი ქალაქის“ ტექნოლოგიებისა და ინოვაციების თაობაზე ცნობიერების ამაღლების კამპანიის სწორად დაგეგმვა. გარდა იმისა, რომ აუდიტორიას მკაფიოდ უნდა მიეწოდოს ინფორმაცია, ასევე არსებითია მის მნიშვნელობასა და ახალგაზრდების ჩართულობის შესაძლებლობებზე ორიენტირება. სასურველია აქტიური თანამშრომლობა სასწავლო დაწესებულებებთან. სკოლების შემთხვევაში, საჭიროა მოსწავლეთა ინფორმირება არა მარტო სხვადასხვა პროფესიაზე, არამედ აქცენტირება ე.წ. მომავლის პროფესიებზე და ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და ინოვაციების მიმართულებით არსებული პროფესიების შესწავლის შესაძლებლობებზე. პროფესიული და უმაღლესი განათლების შემთხვევაში, სასურველია შესაბამისი მიმართულებით სასწავლო კურსების შემუშავება, ასევე, უნივერსიტეტის რესურსის გამოყენების მიზნით, იმ ახალგაზრდებისთვის მისი გამოყენების შესაძლებლობის შეთავაზება, რომლებიც უნივერსიტეტის სტუდენტები არ არიან. აღნიშნული საკითხები გასათვალისწინებელია „ჭკვიანი“ ტექნოლოგიებითა და ინოვაციებით ახალგაზრდების დაინტერესების გაზრდისთვის.

ლიტერატურა

1. priorities document of Batumi municipality, (2022-2025). http://batumicc.ge/files/uploads/20222025_prioritetebi/___2022-2025__.pdf
2. Priorities and programmes for, (2021), and beyond. URL: https://www.london.gov.uk/programmes-strategies/business-and economy/supporting-londons-sectors/smart-london/priorities-and-programmes-2021-and-beyond Webmaps and data services. URL: https://www.london.gov.uk/programmes-strategies/research-and-analysis/webmaps-and-data-services
3. Altındaş, G., Smart City Implementations in Turkey / G. Altındaş. ResearchGate: URL:https://www.researchgate.net/publication/353326723_Smart_City_Implementatio ns_in_Turkey
4. Hornyak, T., Why Japan is building smart cities from scratch / T. Hornyak. — Текст: электронный // Nature: — URL: https://www.nature.com/-articles/d41586–022–02218–5
5. EUROPA, EU Legislation Summary, https://bit.ly/2HWPfhk last checked 22.09.2024
6. Mbate M., (2017), Decentralisation, Governance and Accountability: Theory and Evidence, Journal of African Democracy and Development Vol. 1, Issue 2, 2017, P.2.

UDC 38
SCOPUS CODE 1408
https://doi.org/10.36073/1512-0996-2024-4-84-89

Perspectives of implementation of "smart city" on the example of Batumi city

Genadi Iashvili Head of Public Administration and Electronic Business Department, Georgian Technical University, Georgia, 0160, Tbilisi, 77, M. Kostava str
E-mail: g.iashvili@gtu.ge

Tinatin Iashvili Head of Public Administration and Electronic Business Department, Georgian Technical University, Georgia, 0160, Tbilisi, 77, M. Kostava str
E-mail: t.iashvili@gtu.ge

Besik Sherazadishvili Head of Public Administration and Electronic Business Department, Georgian Technical University, Georgia, 0160, Tbilisi, 77, M. Kostava str
E-mail: b.sherazadisvhvili@gtu.ge

Archil Chikovani Head of Public Administration and Electronic Business Department, Georgian Technical University, Georgia, 0160, Tbilisi, 77, M. Kostava str
E-mail: a.chikovani@gtu.ge

Reviewers:

A. Sichinava, Professor of the Faculty of Engineering Economics, Media Technologies and Social Sciences, GTU
E-mail: alekosichi@mail.ru

Z. Nasaraia, Academic Doctor of Public Administration Visiting Associate Professor of the Faculty of Businesstechnologies of GTU
E-mail: nasaraiazurab@gmail.com

Abstract. In the presented article - Prospects for the implementation of "Smart City" on the example of the city of Batumi, the opportunities available in the city of Batumi in terms of technological development are analyzed. under conditions of maximum involvement of youth. It is noted, that it is desirable to create an operationally updatable platform that will combine various information related to youth in the city. In addition, it is desirable to create an appropriate application that will give young people the opportunity to promptly receive information about news online.

When conducting communication campaigns about the importance of innovation, it is desirable to focus on the opportunities for continuous development and on them as a matter of the future. It is important to inform young people about various services related to "smart city" technologies that are available for young people in Batumi. In addition, an active campaign is necessary in order to inform about the possibilities of using the relevant spaces and the services available there

Keywords: Batumi; City management; Georgia; "Smart City"; Technologies of the future; Youth.

განხილვის თარიღი 20.09.2024
შემოსვლის თარიღი 08.10.2024
ხელმოწერილია დასაბეჭდად 25.12.2024